ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725202001
თარიღი:21/07/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა

ოქმი N09

დ. ლენტეხი 17/07/2025წ.

მიმდინარე წლის 17 ივლისს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 13 წევრი და საპატიო მიზეზით არ ესწრება 8 წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა დ არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევანი ლიპარტელიანი, ,მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების უფროსი ირა გვიჭიანი, დ. ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ინგა ონიანი.

საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის)
ხელმძღვანელის მ/შ ნაირა ლიპარტელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N18 დადგენილების N1 დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ.**

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2025 წლის ექვსი თვის ანგარიშის შეფასების შესახებ.

/მომხს: მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

4.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის ექვსი თვის ანგარიშის შეფასების შესახებ.

/მომხს: მერიის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგი კენჭისყრაზე დააყენა

მომხრე-13;

წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: **დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.**

1.მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს წარუდგინა საკითხი -.**,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N18 დადგენილების N1 დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ** და აქვე განმარტა , რომ მერის სახელზე შემოსული იყო მერიის აუდიტის სამსახურის უფროსის გერმან ქურასბედიანის მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ ამავე სამსახურის საჯარო მოხელე - მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიკა გუგავა გადაყვანილი იქნას აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილებაში თავისი პოზიციით. მერის სახელზე შემოსულია კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსის ლალი გაზდელიანის განცხადება, სადაც აღნიშნავს, რომ განყოფილებაში არ ჰყავს უფროსი სპეციალისტი და განყოფილების საჭიროებიდან გამომდინარე ითხოვს თანამშრომლის დამატებას. საჭიროდ მივიჩნიეთ შეგვეტანა ცვლილება აღნიშნული დადგენილების დანართში. მოხდა ორი თანამშრომლის ჰორიზონტალური გადაყვანა - მარიკა გუგავა გადავიდა თავისივე პოზიციითა და ხელფასით იურიდიული სამსახურის რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილებაში; საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებიდან, მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ინგა ჩოფლიან, თავისი პოზიციითა და ხელფასით, გადავიდა კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის განყოფილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზ**ე:**

მომხრე-13;

წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: დამტკიცდეს აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით.

2. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო

სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში -საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემოსულობებისა და გადასახდელების შესაბამისი პერიოდის გეგმიური მაჩვენებლების მიხედვით.

2025 წლის მუნიციპალიტეტის შემოსულობების ექვსი თვის ბიუჯეტის მთლიანი გეგმა შეადგენს 7 724,0 ათას ლარს, ფაქტიური შესრულება 6 329,7 ათასი ლარს, შესრულებულია 82%.

სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა შეადგენს 2 529, 1 ათას ლარს, ფაქტიური შესრულება 1 270,7 ათას ლარს, შესრულებულია 50% ;

საკუთარი შემოსულობები - 5 194,9 ათასი ლარი, ფაქტიურად- 5059, 0ათასი ლარით, შესრულება-97%;

არა-ფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 4045.9 ათას ლარს, ფაქტი-1583,9 ათას ლარს, შესრულება-64%.

ნაშთის ცვლილება 2 186,2 ათას ლარს, ფაქტიური -682 ,ათასი ლარით, შესრულება -31%.

2025 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის გადასახდელების დაფინანსებამ გეგმით შეადგინა 9 910,2 ათასი ლარი, ფაქტი-7012, 2 ათასი ლარი, შესრულება -70%:

აქედან მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯები შეადგენს გეგმით -3210,2 ათას ლარს, ფაქტი -3072, 7 ათასი ლარი, შერულება-95%;

ინფრასტრუქტურა-გეგმა-4078,5ათასი, ფაქტი-1557,8ათასი ლარი, შესრულება 38%;

დასუფთავება და გარემოს დაცვა გეგმა-374,0 ათასი ლარი , ფაქტი -345,0 ათასი ლარი, შერულება-92%;

განათლება -გეგმა-699,4ათასი ლარი, ფაქტი 687,8ათასი ლარი, შერულება-98%;

კულტურა, ახალგაზრდობა სპორტი -გეგმა-1158,1ათასი ლარი, ფაქტი 1066, 8ათასი ლარი, შესრულება -98%;

ჯანმრთელობის დაცვა და უზრუნველყოფა გეგმა - 390, 0ათასი ლარი, ფაქტი 281, 7 ათასი ლარი, შესრულება -72%.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი ანგარიში დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე -13;

წინაღმდეგი-0.

დაადგინეს: 2025 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად.

3. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოსაკრებლების ადმინისტრირებისა კონტროლის განყოფილების უფროსმა ირა გვიჭიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2025 წლის ექვსი თვის ანგარიში. აღნიშნა, რომ სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან და დაკომპლექტებულია სათანადო კადრებით, ყველა მოხელეს აქვს შესაბამისი სამუშაო. 2025 წლის ექვს თვეში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან შემოსულია 99 წერილი, მომზადდა შესაბამისი პასუხები, გასული წერილების რაოდენობაა 79. 2024 წლის 21 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N300 ი/მ თორნიკე ფართლაძესთან და მომზადდა 9 ობიექტზე აზომვით ნახაზები, მომზადდა დოკუმენტაცია სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემა -რეგისტრაციისთვის. მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისტრირდა ობიექტი, დასრულებულია 3, უარყოფითი პასუხით დასრულდა 2 ობიექტი. მომზადდა დოკუმენტაციები საბავშვო ბაღისთვის მშენებლობისთვის ცვლილებაზე და სოფ. წანაშის სასაფლაოების დაყოფის რეგისტრაციაზე. სსიპ სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან დაიდო ხელშეკრულება დ. ლენტეხში ჭავჭავაძის ქ. მდებარე უძრავის ქონების (ს/კ 87.04.21.093) ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებაზე. ქონების გადასახადი წლიური გეგმა - 70, 000 ლარი, ექვს თვეში შემოსულია 7400,00 ლარი. დასუფთავების მოსაკრებელი გეგმა: 13 880 ლარი, ექვს თვეში შემოსულია 4085 ლარი. 2025 წელს გაფორმებულია 34 ხელშეკრულება, იურიდიულ პირზე - 20, ფიზიკურ პირზე - 14.აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები აქტიურად ვართ ჩართული სხვადასხვა ტრენინგებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე

მომხრე - 13;

წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: დადებითად იქნას შეფასებული წარმოდგენილი ანგარიში.

4. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიახმა სხდომის წევრებს წარუდგინა - ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის ექვსი თვის ანგარიში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2025 წლის 21 მარტის №516 განკარგულებით რეგიონალური განვითარების ფონდიდან ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 4 283 350 (ოთხი მილიონ ორას ოთხმოცი სამიათას სამას ორმოცდაათი) ლარი და დაფინანსებულია სხვადასხვა პროექტები. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 19 ივნისის N1004 განკარგულებით სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოიყო 439 000 (ოთხას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი. დაფინანსებულია სხვადასხვა ობიექტები. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულებით სოფლის პროგრამის ფარგლებში - 604000(ექვსას ოთხი ათასი) ლარი, სულ არის 60 სოფელი და ამ ეტაპისთვის 14 სოფელზეა გაფორმებული ხელშეკრულება. მ/წელს გაიცა ნებართვა შ.პ.ს ,,ნეშარ ჰესის“ მცირე ზომის ჰესის მოწყობაზე , რომლის სიმძლავრეა 1,78მგვტ, ბიუჯეტში ჩაირიცხა მოსაკრებელი 5115 (ხუთი ათას ას თხუთმეტი) ლარი. შპს ,,გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს მიეცა მის კუთვნილ მიწაზე აწარმოოს ლაბორატორიის და სათავე ოფისის ნაგებობების მშენებლობა, ბიუჯეტში ჩაირიცხა მოსაკრებელი 20256 (ოცი ათას ორას ორმოცდათექვსმეტი) ლარი. სამსახურის მიერ მომზადდა დ. ლენტეხში სასაფლაოების შემოღობვა 24509 (ოცდაოთხი ათას ხუთას ცხრა) ლარი და სოფელ რცხმელურის საბავშვო ბაღის შემოღობვის 15122 (თხუთმეტი ათას ას ოცდაორი) ლარი სამუშაოების დოკუმენტაცია. ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების გაწმენდა - გასუფთავებისთვის 70 043 (სამოცდაათი ათას ორმოცდასამი) ლარი, ლეგვერალის უბანში გარე განათებისთვის 11190 (თერთმეტი ათას ას ოთხმოცდაათი) ლარი. სამსახურში მოსახლეობიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია 560 წერილი და განცხადება. კომპეტენციის ფარგლებში ყველა შემოსულ კორესპონდენციაზე გავეცით პასუხები.

აღნიშნული სამსახურის ანგარიშში ერთერთ საკითხად განიხილებოდა მთავრობის №1955 განკარგულებით გათვალისწინებული დ. ლენტეხში ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოს შესრულებაზე 4- ჯერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, ორ შემთხვევაში ტენდერში მონაწილეობა მიიღო შ.პ.ს ,,გეგუმ“, რომელმაც გაუგებარი მიზეზების გამო არ ატვირთა საკმარისი დოკუმენტაცია და უარი განაცხადა პროექტის შემდგომ განხორციელებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ანგარიში.

მომხრე-13;

წინააღმდეგი -0.

დაადგინეს : აღნიშნული სამსახურის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

აზრი გამოთქვა დაბის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ქურასბედიანმა - საკრებულოსთვის ცნობილი გახდა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის გია

ონიანის მოთხოვნით სამინისტროში იქნა წერილი გაგზავნილი მთავრობის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის ნაცვლად , ამ პროექტისთვის გამოყოფილი თანხით მოხდეს სოფელ სასაშის სპორტული დარბაზის მოწყობა.

აღნიშნულთა დაკავშირებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გია ონიანმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ იქნა დაწუნებული მუზეუმის პროექტი, რაც მუზეუმის სარეაბილიტაციოდ არის საჭირო არ არისო ამ პროექტში გათვალისწინებული, ამასთან ისიც გამოიკვეთა, რომ გამოყოფილი თანხაც ვერ ეყოფა სრული სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის . თან ისიც დაემთხვა, რომ ტენდერი რამოდენიმეჯერ ჩავარდა. დიდი ალბათობაა ეს თანხა უკან დაბრუნდეს და საერთოდ დაგვეკარგოს, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება განკარგულებაში ცვლილების და აღნიშნული თანხა სოფელ სასაშის სპორტული დარბაზის მოწყობას მოვახმაროთ. რაც შეეხება მუზეუმს, უნდა მომავლისთვის მოხდება პროექტის დახვეწა, გამოიყოფა კულტურის სამინისტროდან სრული თანხა და მოხდება სრულად სარეაბილიტაციო სამუშაოების მოწყობა.

აზრი გამოთქვა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ინგა ონიანმა; ამჟამად მუზეუმი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში , სახურავიდან ჩამოდის წვიმა, დაზიანების საშიშროება ემუქრება მუზეუმში განთავსებულ ნივთებს, გვეშინია ჭერი არ ჩამოგვენგრეს.

აზრი გამოთქვა ნინო ბენდელიანმა; მუზეუმის მდებარეობიდან გამომდინარე ის წარმოადგენს რაიონის სავიზიტო ბარათს, შესაძლებელი თუ არის, რა თანხაც ამჟამადაა გამოყოფილი რეაბილიტაციისათვის, ამ თანხის ფარგლებში დაიწყოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც უფრო საჩქარო და აუცილებელია პირველად ის სამუშაოები გაკეთდეს.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ რადგან აღნიშნული პროექტი რამდენჯერმე ჩავარდა და ელექტრონულ ტენდერში არ მოხერხდა მეწარმეთა დაინტერესება , მიგვანიშნებს არსებული პროექტის ხარვეზებზე და მიუთითებს პროექტის გადაფასების საჭიროებას. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული და ტურისტული ობიექტია, ლენტეხის სავიზიტო ბარათია , დღეს არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს დროულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აუცილებელია გამოვნახოთ გამოსავალი უსაფრთხოების მიზნით, რათა თავიდან ავიცილოთ მნიშვნელოვანი პრობლემები. რაც შეეხება სოფ. სასაშის სპორტული დარბაზის მოწყობას, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო მზაობას გამოთქვამს და მხარს უჭერს აღნიშნული სპორტული დარბაზის მოწყობისთვის მოძიებულ იქნას შესაბამისი თანხები.

მსჯელობის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება და შეთანხმდნენ შეიქმნას ერთობლივი სამუშაო ჯგუფი , რომელიც უზრუნველყოფს პროექტის დროულ და კვალიფიციურ ანალიზს. ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველვყოფთ რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ეფექტიან ათვისებას და ლენტეხისთვის ამ მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებით დასრულებას.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი